დამტკიცებულია საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაციის გამგეობის სხომაზე

ოქმი ¹3
25 მაისი 2010 წ.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სარევიზიო კომისიის დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1 ბაფის საქმიანობის კონტროლის მიზნით გამგეობის უფლებამოსილების ვადით იქმნება სარევიზიო კომისია.

1.2. კომისია ამოწმებს ბაფის საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებების ბაფის წესდებასთან შესაბამისობასა და მათი შესრულების მდგომარეობას, შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიანობას, მათი შესაბამისობის ხარისხს დაგეგმილ ბიუჯეტთან.

1.3. კომისია საერთო კრებას წელიწადში ერთხელ წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს.

- განახორციელოს ფედერაციის ბიზნესისა და ფინანსური საქმიანობის შემოწმება;
- მოამზადოს და წარუდგინოს შემოწმების შედეგები გამგეობის სხდომებსა და ფედერაციის საერთო კრებებს;
- განახორციელოს კონტროლი, რათა უზრუნველყოს ფედერაციის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ფედერაციის წესდებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების დაცვა

2. კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და კომისიის წევრთა უფლებამოსილებანი

2.1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით.

2.2. კომისიის შემადგენლობას ირჩევს ბაფის საერთო კრება.

2.3. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ბაფის წევრი.

2.4. კომისიის წევრები ირჩევენ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს ბაფის წევრთა საერთო კრება.

2.5. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ადგენს შემოწმების პერიოდსა და ვადებს.

ბ) ამოწმებს ბაფის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებების შესრულებას.

გ) ამოწმებს ბაფის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ეფექტურობას, ბაფის წესდებასა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებთან მისი საქმიანობის შესაბამისობას.

დ) ახორციელებს ბაფის ფინანსური საქმიანობის შემოწმებას, მატერიალური რესურსების გამოყენების მიზნობრიობასა და ეფექტიანობას.

2.6. კომისიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს კომისიის თავმჯდომარე ან/და არჩეულ იქნეს კომისიის თავმჯდომარედ.

ბ) თანაბარ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, განსახილველ საკითხებზე გამოთქვას შენიშნვები, მოსაზრებები და წინადადებები.

2.7. კომისიის წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში.

ბ) არ გაახმაუროს კონფიდენციალური ინფორმაცია.

გ) შეასრულოს კომისიის თავმჯდომარის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები.

3. რევიზიის პროცესი და შედეგები

3.1. გეგმური რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, საერთო კრების ჩატარების წინა პერიოდში. კომისია უფლებამოსილია გეგმური შემოწმების შუალედში განახორციელოს ცალკეული საკითხის თემატური შესწავლა ბაფის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

3.2. კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები შეიძლება გადანაწილდეს კომისიის წევრებს შორის.

3.3. კომისია სამუშაო გეგმას და გრაფიკს წარუდგენს ბაფის აღმასრულებელ დირექტორს.

3.4. აღმასრულებელი დირექტორმა კომისიას უნდა შეუქმნას სათანადო სამუშაოა პირობები, გააცნოს საჭირო დოკუმენტაცია და მისცეს ახსნა-განმარტება მოთხოვნისამებრ.

3.5. შემოწმების პერიოდი განისაზღვრება შესამოწმებელი საკითხების სირთულით, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს.

3.6. შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით კომისია ადგენს დასკვნას, რასაც თან დაურთავს საჭირო და აუცილებელ მასალებს. აღნიშნულს ეცნობა და ხელს აწერს აღმასრულებელი დირექტორი.

3.7. სარევიზიო კომისია თავის დასკვნას, შემოწმების შედეგების შესახებ შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად წარადგენს ბაფის წევრთა საერთო კრებაზე.

4. კომისიის სხდომები

4.1. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია. კომისიის სხდომის ჩატარების თარიღსა და დროს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე.

4.2. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.

4.3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის 2 წევრი.

4.4. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.5. კომისიის სხდომაზე:

ა) განიხილება დაგეგმილი შემოსავლები და ხარჯები, წლიური ფინანსური ანგარიშგება, ბაფის წევრთაგან მიღებული საჩივრები, განცხადებები და სხვა ინფორმაცია, ბაფის თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები და სხვა საკითხები.

ბ) მიიღება კომისიის რეკომენდაციები, დასკვნები და წინადადებები.

4.6. კომისიის რეკომენდაციები, დასკვნები და წინადადებები, როგორც წესი წარედგინება ბაფის წევრთა საერთო კრებას. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება წარედგენოს ბაფის თავმჯდომარეს გამგეობის სხდომაზე განსახილველად.

4.7. კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, ბაფის აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია დაესწროს კომისიის სხდომებს და პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს